26 აგვისტო, 1997 წელი

ფასი 30 თეთრი

# ფანტაზია

№ 30 (56) 1997 წ




## თარაზულად:

*„სიყვარული ყველას უნდა“,*
*მაგრამ ყველას არ შეუძლია*

**11.** ძლიერი („მაგნიტური“) გრძნობა. **12.** იმ მსახიობის გვარი გაიხსენეთ, რომელსაც თავისმა „სამსახურეობრივმა“ ქვეშევრდომმა (ერთ ფილმში) თავი შეაყვარა. **14.** კაცი, რომელიც (თავისი და სხვისი) სიყვარულის გამო სატრფოს სამი წლით დაშორდა. **17.** „მოულოდნელობა“, რომელიც სატრფიალო ურთიერთობებსაც ალამაზებს. **18.** ვინ იკვლევს, ვთქვათ, თამარის სატრფიალო-(რუსულ)-პოლიტიკურ ამბებს? **19.** (წავიღიღინოთ... შეეული №3-ის ლექსი) „მეჩეთი და სინაგოგა, აქ სიონი წმინდათწმინდა; კაცი იყავ (როგორი?) და იქ ილოცე, სადაც გინდა!“ **21.** ვაჟი სიყვარულს უხსნის, გოგონა ხმას არ იღება...არ იღებს...არ იღებს... სულ რომ არ ამოიღო, რა იფიქრა ვაჟმა – თანხმობის ნიშანი რა არისო? **22.** ქალი საყვარლებს ცხვირსახოცებივით თუ იცვლის, რა „დაავადება“ შეიძლება სჭირდეს მას? **24.** ბუმბერაზი დედამიწელი, რომელიც გადაშენებისაგან ვერაფერმა (სიყვარულმაც კი!) ვერ გადაარჩინა. **25.** რა უნდა ახასიათებდეს სატრფიალო გრძნობებს „სასტარტო პოზიციაზე“ (შეიძლება მერეც...)? **27.** გაიხსენეთ ქალი, რომელმაც შეიდი წლის ასაკში ცამეტი წლის ყმაწვილს სატრფიალო „ბნედა“ დამართა. **28.** ბრაზილიაში იყო ერთი (ახმახი) ტროპიკელი ქალი, რომელიც ოჯახებს ანგრევდა... აბა, (ბავშვებო!) გავიხსენოთ მისი სახელი. **33.** სასაცილო ამბავი, რაც ხშირად ემართებათ სასიყვარულო თამაშებში. **35.** სამართალდამცავი პირი, რომელმაც კრიმინალურ ელემენტს საყვარელი წაართვა. **36.** რა საბრძოლო ცნება შეიძლება ჰქონდეს (შენიღბული) „საყვარელ“ სიძეს ასევე „საყვარელ“ სიდედრთან? **38.** ქალის გულის დაუფლების ერთ-ერთი საშუალება. **46.** (ერთიც წავიღიღინოთ) „გინდა იყოს კოჭლი, გინდა ბრუციანი, მაინც მეყვარება ჩემი (ვინ?)“. **47.** ვინ იყვნენ რომეოსა და ჯულიეტას მშობლები ერთმანეთისათვის? **48.** რა ერქვა (მის) ღულიტლს, რომელმაც ერთ ენათმეცნიერ კაცს თავი შეაყვარა? **49.** რა სჭირდება სიყვარულს ჩვენი „გაზეთის“ თანახმად? **52.** მუსიკალური ინსტრუმენტი. **55.** ცნობილი ქართველი მიჯნური. **56.** ძვ.ბერძენი ქალი–მედუზა, რომელიც შეხედვისთანავე ყველას აქვავებდა. **57.** თავისუფალი ადგილი. **58.** უშნო, უგერგილო, უუნარო... **60.** მარადიული რელიგიური (სიყვარულის) ქალაქი. **62.** შესვენება (თუნდაც) სიყვარულში. **63.** ნამდვილი ქალისათვის აუცილებელი თვისება. **64.** ქართველი მსახიობი გია, მომღერალი თამარის მოსიყვარულე მეუღლე. **66.** საბადურის ტყის ჩრდილოეთით მდებარე ისტორიული რეგიონი. **69.** რა შეიძლება კომპოზიტორმა მიუძღვნას სატრფოს? **71.** შორეული ხედვის ხელსაწყო. **72.** ვინ მოდიოდა „ზუბოვკიდან“, გზაში ქალი რომ შეუყვარდა? **75.** როგორი მზერა შეიძლება ჰქონდეს სიყვარულის მსურველ სუბიექტს? **77.** ნორჩი ბალახით დაფარული მდელო. **78.** რა მიიღო მკერდზე გალაკტიონმა ერთ ლექსში? **79.** ღალატის ერთ-ერთი ობიექტი. **84.** როგორი შეიძლება იყოს მოზარდი გოგონა? **85.** ევროპული ნახევარკუნძული. **87.** (ერთიც წავიღიღინოთ) „...კარგ მთქმელს უნდა კარგი გამგონი, ლამაზს უნდა ჰყავდეს (ვინ?)“ და ა.შ. **90.** ტროპიკული ხილი, რომელიც თანამედროვე მეცნიერთა მტკიცებით „სიყვარულს“ უწყობს ხელს. **91.** როგორი ქალი გახდა თამრო ქალაქში ჩამოსვლის შემდეგ? **92.** რა ჩნდება მრავლად სიყვარულის ქორწინებაში გადაზრდის შემდეგ? **93.** ყველაზე „ლამაზი“ არსება ყვავისათვის.

## სიყვარულის იუმორი

*ახლგაზრდა ცოლი ეუბნება თავის ქმარს:*

*— მითხარი, ძვირფასო, განა შეიძლება ამქვეყნად არსებობდეს სიყვარულზე უფრო მშვენიერი რამ?!*

*— რა თქმა უნდა არა! — პასუხობს ქმარი — მაგრამ სადილი მალე იქნება?*

* * *

*ერთი მოხუცი ქალი საპენსიო განყოფილებაში მივიდა და იქ ერთი ახალგაზრდა გოგონას უკან რიგი დაიკავა.*

*— შვილო, შენ აქ რა გინდა? — იკითხა მოხუცებულმა ქალბატონმა.*

*— მე მარტოხელა დედა ვარ! — თითქმის სიამაყით უპასუხა იმ გოგონამ.*

*— ოჰ, ღმერთო ჩემო, რა სახელებს აღარ მოიგონებენ ხოლმე?! — ადრე ასეთ „დედებს“ სულ სხვა რამ ერქვათ.*

* * *

*გააფთრებული ქმარი შემორბის სახლში და ყვირის*

*— სად არის?!... მოვკლავ!*

*ცოლი:*

*— რას ამბობ, ძვირფასო, აქ არავინ არის!*

*ქმარი:*

*— მე იმას ახლავე ვიპოვი! შვილო, აბა, მომეხმარე — ის კაცი მოვძებნოთ!*

*შვილი ტახტის ქვეშ იხედება და ეკითხება:*

*— ვანო ძია, „ის კაცი“ არსად დაგინახავს?!*

## შვეულად:

*„სიყვარულო, სიყვარულო, რა ხარო“*
*მიხრა-მოხრით კარგი რამე ჩანხარო...*

**1.** როგორი ურთიერთობა შეიძლება ჰქონდეთ მოყვარულ ქალ-ვაჟს? **2.** ქირურგიული ჩარევა უიღბლო სიყვარულში. **3.** მრავალი ქართული სატრფიალო სიმღერის ტექსტის ავტორი. **4.** რა ჰქონდა შედგენილი კვაჭი კვაჭანტირაძეს საყვარლებისათვის? **5.** ხელისგულზე მკითხაობა. **6.** რა შეიძლება იყოს სატრფო მიჯნურის თვალისთვის? **7.** (მადამ) ლესკო... (წოდ.ბრ.) **8.** როგორი ჰგონია თავისი თავი ამპარტავან შეყვარებულს? **9.** ძალიან-ძალიან ახალი, ანუ... **10.** ევა ბრაუნის მოყვარული კაცის საბელადო წოდება. **13.** ცეკვა–თამაშის და ფლირტის ადგილი. **15.** მრავალი ჩვენთაგანის სიყვარულის მოწმე ქალაქი. **16.** რა სამსახიობო „თვისება“ უჩნდება ქალთან თავმომწონების პროცესში მყოფ სუბიექტს? **20.** ერთ-ერთი ყველაზე ახლობელი მამაკაცი. **23.** ერთ-ერთი შესაძლო იმ ცხრიდან, როცა ორსულობა შეიძლება მიმდინარეობდეს. **26.** ქართულ სუფრაზე ყველაზე ხშირად ხსენებული მაია. **29.** რა შეიძლება გაუჩნდეთ ერთმანეთისადმი (დასაწყისში) ორი საწინააღმდეგო სქესის არსებას? **30.** ქალის ერთ-ერთი ეპითეტი. **31.** ციხე-სიმაგრე, სადაც შეყვარებული ედმონდ დანტესი ჩაამწყვდიეს. **32.** დამაბეზღებელ-მამხილებელი წერილის უცნობი ავტორი. **34.** გალაკტიონის ლექსი. **37.** რა შეიძლება მიენიჭოთ ჰოლივუდელ ლამაზმანებს? **39.** მითიური იუპიტერის მითიური მეუღლე. **40.** ნებართვა, რომელიც სიყვარულს არ სჭირდება. **41.** ჰამლეტ გონაშვილის სოფელი. **42.** რა „აღიარა“ შუშანიკის „მოყვარულმა“ ქმარმა (ეს სიტყვა სასკოლო სახელმძღვანელოში არასწორი ფორმით წერია). **43.** შუა საუკუნეების იტალიური სამიჯნურო ნოველების კრებული. **44.** უკანონო შვილი. **45.** მოკლემეტრაჟიანი ფილმი იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით. **50.** მელოდრამატული ფილმი მედეა ჩახავას მონაწილეობით. **51.** (მთლად)უმაღლესი სასწავლო დაწესებულება. **53.** თავაშვებული ქეიფი, ღრეობა და სიყვარული. **54.** სიტყვა „მსგავსის“ სინონიმი. **59.** უპატრონოდ, უსახლკაროდ დარჩენილი (თუნდაც) მიჯნური. **61.** საკანონმდებლო ნორმებით გათვალისწინებული „ჯარიმა“ ოჯახის მიტოვებისათვის. **65.** მოყვარული იტალიურ-მავრული ცოლქმრის ხელისშემშლელი ინტრიგანი. **67.** უმშვენიერესი ბოშა ჯინა ლოლობრიჯიდას კონორეპერტუარიდან. **68.** ავი და კაპასი და კიდევ რაღაც... **70.** რუსული ლიტერატურის განზოგადოებულად ზარმაცი პერსონაჟი გონჩაროვის შემოქმედებიდან. **73.** რა არის ის, რასაც სიყვარულთან „დიდი მზღვარი“ უდევს? **74.** კაცი, რომელიც დედამიწის ბრუნვაზე „შეყვარებულობისა“ გამო დაიწვა. **76.** პრივილეგირებული საბჭოელი პიონერების ბანაკი. **77.** რა ინთებოდა იმ ხსენებული პიონერების მიერ იმ ხსენებულ ბანაკში? **80.** თუ გახსოვთ, რა ერქვა მშვენიერ ქალბატონ გოძიაშვილს, ქართული ესტრადის დიდებულ მომღერალს? **81.** ფილმი ველოსიპედისტი ბიჭის შესახებ, რომელიც ორი ახალგაზრდას სიყვარულს შეეწირა. **82.** თვალებხატულა ამერიკელი თოჯინა. **83.** თვალებხატულა ძვ.ამერიკელი კინომსახიობი. **86.** ქალი ქართული ლიტერატურიდან, რომლის სიყვარულსაც ქვრივი ქალის ერთადერთი ვაჟი შეეწირა. **88.** ფრანგი კინომსახიობი ქალი, ნამდვილად კარგი „ქალის“ როლის შემსრულებელი. **89.** ზღაპრული ბიჭუნა, რომელსაც თავისი მოყვარული დობილი დაეძებდა.

# (თითქმის)ფანტასტიური ამბები ჩვენი და თქვენი ცხოვრებიდან

## სატრფიალო სამკუთხედი



*(სამკუთხედის მთავარი მონაწილე მიცვალებული სუბიექტი გახლავთ)*

ქალაქ სან-ხოსეს მკვიდრმა, სპეციალობით პროგრამისტმა, პოლ ჯენთმანმა სიკვდილამდე სამი თვით ადრე გაიცნო ქირურგიული მედდა რონდა ლაკუცო, რომელიც გარდაცვლილთა კრიოგენურ გაყინვაში დახელოვნებულ ფირმაში მუშაობდა. რონდა დარწმუნებული იყო იმაში, რომ ოდესმე მეცნიერება შეძლებდა ადამიანური უკვდავების საიდუმლოს ამოხსნას და მაშინ მოხერხდებოდა ამ კლინიკის მაცივრებში მოთავსებული პაციენტების კვლავ გაცოცხლება. ხსენებულმა მედდამ და პროგრამისტმა გაცნობისთანავე ურთიერთსიმპატიები გამოამჟღავნეს და მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქალაქში ცხოვრებდნენ, ჭეშმარიტად სატრფიალო რომანი გააბეს. პოლმა და რონდამ ერთმანეთს პირობა მისცეს, რომ სიკვდილის შემთხვევაში თითოეული მათგანი გაყინულ იქნებოდა, რათა ერთად მოეხერხებინათ მკვდრეთით აღგომა და შემდეგ აღარასოდეს დაშორებოდნენ ერთმანეთს. ერთი სიტყვით, მათ გულწრფელად უყვარდათ ერთმანეთი და დაქორწინებასაც აპირებდნენ...

მაგრამ პოლი უკურნებელი სენით იყო დაავადებული; ოპერაციამ წარუმატებლად ჩაიარა და საავადმყოფოდან გაწერის მეორე დღეს იგი გარდაიცვალა. მისი გვამი იმ ფირმაში მიიტანეს, სადაც რონდა მუშაობდა და იქ ექიმმა დერეკ რაიანმა ქირურგიული ხერხის საშუალებით გარდაცვლილის სხეულს აკურატულად მოაშორა თავი და გაყინა მაცივარში მომავალ სიცოცხლემდე.

ადამიანის სხეულის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რის გადარჩენასაც კრეონისტები აპირებენ, ადამიანის თავის ტვინი გახლავთ. ყველაფერი, რაც ადამიანს პიროვნებად აქცევს, ანუ მისი მეხსიერება, ინდივიდუალურობა და ინფორმაციის გადამუშავების უნარი, სწორედ ტვინშია კოდირებული, ამიტომაც აღნიშნული ფირმის კლიენტები მხოლოდ თავის გაყინვას არჩევენ; ჯერ ერთი, რომ ეს ორჯერ უფრო იაფია, ვიდრე მთელი სხეულის გაყინვა და მეორე – მეცნიერება, რომელიც მომავალში გააცოცხლებს მათ, ალბათ, იმ საშუალებასაც მიაგნებს, რომ მათ ახალი სხეული შეუქმნან (ასე სწამთ ფირმის კლიენტებს).

ჩვენი ნარკვევის ქალბატონი რონდა კი, როგორც ეს ჭეშმარიტ სატრფოს ეკადრება, ძალზედ დარდობდა, ხოლო ექიმი დერეკ რაიანი, როგორც ეს ჭეშმარიტ მეგობარს მოეთხოვება, ძალზედ ანუგეშებდა მას და, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, მათ ერთმანეთი შეუყვარდათ და ერთად დაიწყეს ცხოვრება. მართალია არ დაქორწინებულან, მაგრამ რონდამ თავის გვარს ახალი სატრფოს გვარიც მიუწერა და ახლა ლაკუცო–რაიანად იწოდება. მთავარი კი სხვა რამ გახლავთ:

ორივე მათგანს სწამს, რომ მომავალში იმ საბრალო პოლს გააცოცხლებენ (სხეულსაც მიაკერებენ) და შეიქმნება ჩვეულებრივი სატრფიალო სამკუთხედი, რასაც ექიმი და მედდა ასეთ კომენტარს უკეთებენ:

„ჯერ ერთი, პოლი ძალზედ მოხარული იქნება, რომ დერეკმა მთელი ამ ხნის განმავლობაში მიპატრონა და დარდი გადამატანინა და მეორე – ჩვენ, როგორც ეს გონიერ ხალხს სჩვევია, გამოვნახავთ საშუალებას, რათა სამივემ ერთად ბედნიერად ვიცხოვროთ" – ეს რონდას აზრი გახლავთ.

რონდასაგან განსხვავებით, დერეკი ამ „სამკუთხა პრობლემას" ძალზედ სერიოზულად ეკიდება და ამბობს: „მე აქ სამ ვარიანტს ვხედავ. პირველი – მაშინ, როცა ჩვენ პოლს გავაცოცხლებთ, იგი ისეთივე ახალგაზრდა იქნება, როგორიც გარდაცვალებისას, მე და რონდა კი მოვხუცდებით და პოლი აღარ ისურვებს თავისი სასიყვარულო გრძნობის განახლებას. მეორე ვარიანტი – რონდამ და პოლმა შეიძლება განაახლონ ძველი ტრფიალი და მე მიმატოვონ...

და ბოლოს, მესამე ვარიანტი, რომელიც მე ჩვენი პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტად მიმაჩნია – მე ვფიქრობ, რომ იმ დროისათვის, როცა პოლს გავაცოცხლებთ, მეცნიერება ისე იქნება განვითარებული, რომ შესაძლებელი გახდება ადამიანთა ასლების შექმნა, ასე რომ ჩვენ შევქმნით რონდას ასლს და მეც და პოლსაც სათითაო რონდა გვეყოლება... ასეა თუ ისე, ჩვენ გვინდა, რომ პოლი ჩვენს ცხოვრებაში მონაწილეობდეს".

*ჯაიმ ვულფი*
*ამერიკელი ჟურნალისტი*

## პატარა ლინგვისტური ამოცანა ძალიან ჭკვიანებისათვის

*მოცემულია ფრაზები ესტონურ ენაზე თარგმანითურთ:*

| | |
|---|---|
| 1. Sa kirijtad raamatut | 1. შენ წერ წიგნს |
| 2. Ma valisin vihikut | 2. მე ვირჩევდი რვეულს |
| 3. Te ehitasite veskit | 3. თქვენ აშენებდით წისქვილს |
| 4. Me ehitame veski | 4. ჩვენ ავაშენებთ წისქვილს |
| 5. Sa viisid raamatu | 5. შენ წაიღე წიგნი |

ახლა კი თარგმნეთ ესტონურ ენაზე: 1. ჩვენ ავაშენეთ წისქვილი. 2. მე ვწერდი წიგნს. 3. ჩვენ ვაშენებთ წისქვილს. 4. შენ მიგქონდა რვეული. 5. თქვენ აირჩევთ წიგნს.

## ლოგიკური ამოცანა

ერთ ქალაქში საჭადრაკო ტურნირი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ნივნივაძემ, ნეროძემ, ნამალაიძემ, ნიტაიშვილმა, ნაქაძემ და ნიბახაშვილმა. ისინი შემდეგი პროფესიისანი იყვნენ; მასწავლებელი, ხარატი, იურისტი, მჭედელი, მწერალი და მძღოლი.

სულ ხუთი ტური ჩატარდა.

*პირველ ტურში* ნიბახაშვილმა ხარატს მოუგო, იურისტმა ნეროძე დაამარცხა, ნამალაიძემ კი მასწავლებელთან ყაიმი ითამაშა.

*მეორე ტურში* ნიტაიშვილმა ხარატი დაამარცხა, მასწავლებელმა — ნეროძე, ხოლო ნიბახაშვილმა — მძღოლი.

*მესამე ტურში* გაიმარჯვეს: ნიტაიშვილმა მასწავლებელთან, მწერალმა ნიბახაშვილთან, ნივნივაძემ მძღოლთან ყაიმით დაასრულა პარტია.

*მეოთხე და მეხუთე* ტურების ექვსივე პარტია ყაიმით დასრულდა.

გაარკვიეთ; ვინ გახდა ჩემპიონი, როგორ განაწილდნენ ცხრილში დანარჩენი მონაწილენი, რა პროფესიისა იყო თითოეული მათგანი?

## უთავო მხედრები

1928 წელს სამეცნიერო სამყარო პანიკამ მოიცვა... ფიზიოლოგებმა ბრიუხონენკომ და ჩეჩულინმა საჯარო ლექციაზე წარმოადგინეს სხეულისაგან მოკვეთილი ძაღლის თავი, რომელიც ცოცხალი იყო?! ტვინს სისხლი მილაკებით მიეწოდებოდა და ძაღლის თავს აბსოლუტურად ყველა რეაქცია შენარჩუნებული ჰქონდა გამაღიზიანებლებზედაც და საკვებზედაც. ახლა ბიოლოგია უკვე მრავალად იცნობს ისეთ ფაქტებს, როცა ადამიანის თავი განაგრძობს სიცოცხლეს სხეულთან განშორების შემდეგ, მაგრამ საინტერესო ის არის – სხეული თუ ინარჩუნებს სიცოცხლის ნიშანწყალს „მართვის პულტის" დაკარგვის შემდეგ?

> *შეუძლია თუ არა ადამიანის სხეულს მოძრაობა... თავის მოკვეთის შემდეგ?!*

ამ საუკუნის დასაწყისის მაგიურ კრებულში – „იდუმალებათა სფეროდან" – რომელიც ერთი ღვთისმსახური-მაგისტრის მიერაა შედგენილი, არის ასეთი წერილი – „სიცოცხლე თავის მოკვეთის შემდეგ", სადაც აღწერილია 1528 წელს გერმანიაში, ქალაქ როდშტადტში მომხდარი ამბავი: ერთ ბერს თავის მოკვეთა და კოცონზე დაწვა მიუსაჯეს; ეს ბერი თურმე ბრალდებას უარყოფდა და ამტკიცებდა, რომ თავის მოკვეთის შემდეგაც კი შეძლებდა საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას. მას შემდეგ, რაც ბერს თავი მოჰკვეთეს, იგი უსულოდ დაეცა ქვაფენილზე და ასე, პირქვე დამხობილი, სამიოდე წუთის განმავლობაში იწვა; მაგრამ უცებ თავმოკვეთილი სხეული თავისით გადმობრუნდა, ფეხები და ხელები გადაიჯვარედინა და აღარ განძრეულა. ამის მხილველმა რელიგიურმა მოსამართლეებმა, უკვე ველარ გაბედეს მისი სხეული კოცონზე დაეწვათ... წმინდანთა ცხოვრებისა და სხვა საეკლესიო კრებულებში ასობით შემთხვევაა აღწერილი, როცა მავანი თავმოკვეთილი მამები თავად მიდიოდნენ საკუთარი სამარხებისაკენ; ასე მაგალითად თავწაჭრილმა გრაფმა სენ-დენიმ თურმე პარიზის ქუჩებში ორი მილი გაიარა... ერთი თურქი ჭაბუკი, თავის წაკვეთის შემდეგ, თურმე კიდევ რამოდენიმე საათის განმავლობაში ებრძოდა მტრებს ცხენზე ამხედრებული...



რა არის ეს? – თავხედური გაზვიადებაა, ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი თუ რეალური ფაქტები, რაც რაღაც ბუნებრივი ფენომენის ლაღასტურებაა და დასაბუთებული ახსნა-განმარტება ჭააჩნია? სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, მოდით, გავიხსენოთ ქათამი, რომელსაც თავის მოჭრის შემდეგ მთელი ეზო-ყურეს შემორბენა შეუძლია; თავმოჭრილი ღორის „გმირობები" კი ყველა დაინტერესებულ პირს უნახავს და არც არავის გაჰკვირვებია ის, თუ როგორ ინარჩუნებს სხეული თავის გარეშე წონასწორობას ან საიდან იღებენ კუნთები ბრძანებას შეკუმშვა-გაფართოების შესახებ?! ოფიციალური მეცნიერება ამტკიცებს, რომ ამგვარი უნარი მხოლოდ პრიმიტიული არსებების პრეროგატივაა და ადამიანი მოკლებულია მსგავს ფენომენს, თუმცა მატიანეებში და სამედიცინო არქივებში შემონახულია არაერთი ფაქტი, რომლებსაც დასაბუთება ჯერჯერობით ვერავინ მოუძებნა; ასე მაგალითად:

*1336 წელს ბავარიაში სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს ვინმე თავად დიც ფონ შაუნბურგს და ოთხ მის ქვეშევრდომს. მეფის წინააღმდეგ ამხედრებულ ამ ხუთი მეამბოხისათვის თავები უნდა მოეკვეთათ. განაჩენის აღსრულებამდე წინ შაუნბურგმა უცნაური სურვილი გამოთქვა – შეეწყალებინათ მისი ქვეშევრდომები, თუ იგი თავის მოკვეთის შემდეგ ოთხივეს წინ ჩავლას შეძლებდა. ბავარიის მონარქმა ლუდოვიკომ გაიცინა და გრაფს სურვილის აღსრულებას დაჰპირდა. ბრალდებულები ერთ რიგში, ერთმანეთისაგან რვა ნაბიჯის დაშორებით დააყენეს. გაიელვა ჯალათის მახვილმა და ფონ შაუნბურგის თავი დაბლა დაეცა, მაგრამ სხეულმა შეძლო 32 ნაბიჯის გადადგმა და მხოლოდ ამის შემდეგ დაეცა ძირს. გაოგნებულმა მონარქმა ოთხივე ბრალდებული გაათავისუფლა და ღრმა ლოცვა-ვედრებით გაატარა დარჩენილი წუთისოფელი...*

ცნობილი გერმანელი მეცნიერი-ფიზიოლოგი პროფესორი ჰუფლენდი ასეთ ფაქტს აღწერს: მასთან პარალიჩით დაავადებული პაციენტი მისულა, მას ნორმალური ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანთვისება ჰქონია, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ ჩატარებულმა თავის ქალის ახდამ საოცარი ფაქტი გამოააშკარავა – ამ კაცს საერთოდ არ გააჩნდა თავის ტვინი და მის ნაცვლად ქალაში რაღაც სითხე ესხა...

როგორც ითქვა, ოფიციალური მედიცინა ამგვარი ფაქტების რეალობას უარყოფს და ყველაფერს თვითმხილველთა მოჭარბებული წარმოსახვით ხსნის, თუმცა ამერიკელ მეცნიერთა მიერ ახლახანს გავრცელებული ინფორმაცია აღნიშნული სასწაულების გასამართლებლად გამოდგება:

აღმოჩნდა, რომ ადამიანს, გარდა თავისა და ზურგისა, რაღაც „მესამე ტვინი" გააჩნია, რომელიც კუჭისა და საკვებმომნელებელი ორგანოების არეში მდებარეობს. ნიუ-იორკის შესაბამისი კვლევითი ცენტრის პროფესორმა მაიკლ გერშონმა ჟურნალისტებს აუწყა, რომ ეს „მუცლის ტვინი" 100 მილიონ ნეირონს ითვლის და ეს რაოდენობა ზურგის ტვინის ნეირონთა რიცხვსაც კი აღემატება. და ეს ნამდვილად ტვინი გახლავთ, რომელსაც აქვს უნარი დაიმახსოვროს ინფორმაცია, გამოიტანოს შედეგი განცდილი მოვლენიდან და ჩვენს ემოციასა და შეგრძნებებზე იმოქმედოს. ამერიკელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სწორედ ეს „მუცლის ტვინი იძლევა ბრძანებას საფრთხის შემთხვევაში ჰორმონების გამოყოფის შესახებ და ორგანიზმს მართავს ექსტრემალურ ვითარებაში. ალბათ, სწორედ ეს „ტვინია" მიზეზი იმისა, რომ მთავარი „მმართველი ორგანოს" მოკვეთის შემდეგ სხეული არ კარგავს კუნთების რეგულირების უნარს...

თუმცა ყოველივე ეს ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდია.

*სტატია დაწერილია გაზეთ „Тайная власть"-ში გამოქვეყნებული ფაქტების საფუძველზე.*

## სიყვარულის ოცნება და შიში
### *წერილი მეორე – ქალები*

**ვერძი**
*(22 მარტი – 20 აპრილი)*
**ოცნება:** ქალბატონი ვერძის წარმოსახვაში მუდამ ერთი სურათი ტრიალებს – იგი მბრძანებელია მამაკაცების „ჰარამხანისა", თუმცა ეს მბრძანებლობა უფრო ბატონობის სურვილითაა განპირობებული, ვიდრე ავტორცობით.
**შიში:** მას ერთი პრობლემა უღრღნის გულს – მამაკაცთან ურთიერთობაში როგორ მოიძიოს საჭირო სინაზე?

**კურო**
*(21 აპრილი – 21 მაისი)*
**ოცნება:** იგი „მეჯლისის" დედოფალია და სულ ასე აპირებს ცხოვრებას; მისი ქალურობით ყველა მამაკაცი უნდა ტკბებოდეს!
**შიში:** ხომ შეიძლება ერთ დღეს სიბერე მოვიდეს და თაყვანისმცემლები დაიკარგონ, ხომ შეიძლება (ოჰ)?!

**ტყუპები**
*(22 მაისი – 21 ივნისი)*
**ოცნება:** მის ფანტაზიას საზღვარი არ აქვს, თუმცა კონკრეტული ადრესატი არ ჰყავს.
**შიში:** ვაითუ ეს ოცნება ასრულდეს?! მერე რა ეშველებათ რეალობასთან პირისპირ დარჩენილ ქალბატონ ტყუპებს?

**კირჩხიბი**
*(22 ივნისი – 23 ივლისი)*
**ოცნება:** მას სურს იყოს ბევრად უფრო მშვენიერი, ვიდრე არის, თუმცა ყურადღების ცენტრში ყოფნას ეერიდება.
**შიში:** ეს ქალბატონი გამუდმებით ფრთხილობს, რომ მისი სისუსტე ვინმემ არ შეამჩნიოს და აუხორცულად არ გამოიყენოს.

**ლომი**
(24 ივლისი – 23 აგვისტო)
**ოცნება:** სიტუაციის ერთპიროვნული ფლობა – აი, ძუ-ლომის ოცნება.
**შიში:** ნეტავი არავინ იყოს კონკურენტი, ენერგია მასთან ბრძოლას რომ არ შეელიოს?!

**ქალწული**
*(24 აგვისტო – 23 სექტემბერი)*
**ოცნება:** პარტნიორი ყველანაირად და იდეალურად „სუფთა" უნდა იყოს, როგორც ფიზიკურად, ასევე ზნეობრივად!
**შიში:** ღალატი კატასტროფაა, რის იქით ცხოვრება აღარ ჩანს.

**სასწორი**
*(24 სექტემბერი – 23 ოქტომბერი)*
**ოცნება:** ფანტაზიის ნაკლებობა ნამდვილად არ იგრძნობა და ყველაფერი, ძირითადად, „ინტიმურ" ვნებათაღელვას უკავშირდება.
**შიში:** ნუთუ შეიძლება არსებობდეს ისეთი მამაკაცი, ვინც ამ ფანტაზიას რეალობად აქცევს?

**ღრიანკალი**
*(24 ოქტომბერი – 22 ნოემბერი)*
**ოცნება:** ეკზოტიკური ბუნება და ეკზოტიკური მამრები... პარტნიორის „ველური" ხიბლითა და ძალით ტკბობა!
**შიში:** ქალბატონ ღრიანკალს მხოლოდ ის აშინებს – ვაითუ პარტნიორმა არ გაიზიაროს მისი მგზნებარება?!"

**მშვილდოსანი**
*(23 ნოემბერი – 21 დეკემბერი)*
**ოცნება:** ამ ნიშნით დაბადებული ქალები ზედმეტად თავისუფლებისმოყვარულნი არიან; ისინი, როგორც წესი, გვიან თხოვდებიან, რადგან მათი ოცნება აბსოლუტური უსაზღვროობაა.
**შიში:** მას ეშინია ტირანთან დაპირისპირებისა, რადგან ამ შემთხვევაში იძულებული იქნება ქალური ღირსებების გამომჟღავნების ნაცვლად მოძალადეს „ომი" გამოუცხადოს.

**თხის რქა**
*(22 დეკემბერი – 20 იანვარი)*
**ოცნება:** ეს თვისება – ფანტაზიორობა – პრაქტიკულად გამორიცხულია და უფრო სურვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რაც პარტნიორულ ერთგულებაში გამოიხატება.
**შიში:** აქ შიშზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რადგან რეალობას თხის რქის ნება მართავს.

**მერწყული**
*(21 იანვარი – 19 თებერვალი)*
**ოცნება:** სიყვარული მუდამ ფანტაზიის პარალელურად მიმდინარეობს და მამაკაცის მბრძანებლობაში მერწყული-ქალის ოცნებაც ხორცს ისხამს.
**შიში:** მთავარი პრობლემა ის არის, რომ ეს ქალბატონი სინამდვილისაგან ხშირად ჭკუას ვერ სწავლობს.

**თევზები**
*(20 თებერვალი – 21 მარტი)*
**ოცნება:** ისინი ყველაფრის მიღწევას ერთად და ერთდროულად აპირებენ და წარმოსახვათა ტყვეობაში დიდხანს ვერ ჩერდებიან.
**შიში:** მოლოდინისადმი პათოლოგიურმა შიშმა შეიძლება ყველაფერი ერთად დაამსხვრიოს.

# ციტატებიანი კროსვორდი

*მოცემულ ციტატებში გამოტოვებულია სიტყვები, რომელთა ამოცნობით თქვენ შეძლებთ კროსვორდის შევსებას*

**თარაზულად**: **4**. „..............., ლამაზო, სხვა საქართველო სად არი" *(ანა კალანდაძე)*; **10**. „.... უხმობს ზარი?" *(ჰემინგუეი)*; **12**. „მივდივარ, მიმაქვს, ჩემსავით ძველი, დარდის ...... გრილი" *(ბუბა კიკაბიძე)*; **13**. „ქარი ..., ქარი...., ფოთლები მიქრიან ქარდაქარ" *(გალაკტიონი)*; **14**. „....., გადიდდი, გადიდდი, შვილი ეყრება დედასა!" *(გოგლა)*; **15**. „მამაძაღლი ....... ჩვენს სოფელში რათ არი?! *(ხალხური)*; **16**. „... გულადი, პურადი მებრძოლი შავის ბედისა" *(გრ. ორბელიანი)*; **17**. „ან თუ შეხვდა სხვისი საგრფო, მან შორი გზა ........" *(იმერული ჰანგები)*; **18**. „........ ერთიც უნდა დავლიო" *(რამაზ ჩხიკვაძე)*; **21**. „მიმინო ......, მიყვარდა, ოდელია-რანუნი" *(იმერული ჰანგები)*; **22**. „ჩემო გულის მოწილევ, ჩემო გულის ....." *(ქალაქური)*; **24**. „შენ ....... ოლონდაც, მე სულ არა მინდა რა!" *(გიორგი ცაბაძე)*; **25**. „........ გოგოვ, მე და შენ!" *(ხალხური)*; **26**. „ჩემი ..... ხორცსა მათსა ხრმალი ბასრი, შუბი ახე" *(შოთა)*; **27**. „......., ......., დივლი-დალალალე, ჩემო ლამაზო სამშობლო, შენ კი გენაცვალე" *(პაატა)*; **28**. „......... ვნახე დაჭრილი" *(ვაჟა)*; **31**. „შენი მე სახება დამდევს თან, ყოველთვის, ყოველდ....., ყოველგან" *(გალაკტიონი)*; **32**. „ჩვენი ქვეყნის ....." *(ევგ. ნინოშვილი)*; **33**. „იგი სხვაა, ....... სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი" *(შოთა)*; **35**. „რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი? –იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა ........" *(ეროსი)*; **37**. „ხარ მშვენიერი და სასწაული, შენთვის ...... მსურდა" *(მედეა ძიძიგური)*; **38**. „..........(ურისოდ) ხმას ვერ გასცემ!" *(ხატოვანი თქმა)*; **40**. „ზამთრის სპორტული სახეობებია; სლალომი, ბობსლეი, ........., ჰოკეი და ა.შ." *(ოლიმპიური დღიური)*; **42**. „........... წარსულთან", „................ მთაში" *(ქართული კინოფილმები)*; **43**. „......... შეკაზმავს ცხენს?" *(ქართული კინოფილმი)* **44**. „.............. შენთან მოვდივარ, კარი დატოვე ღიაო!" *(ხალხური)*; **45**. „დათუნია .......-ბაბლი, გამომართვი ტკბილი ვაფლი" *(საბავშვო)*; **46**. „ ........... – სასიყვარულო თამაშის ქაღალდები" *(საეტიკეტო ახსნა-განმარტება)*; **47**. „ჰიუგომ დაწერა რომანები: „ოთხმოცდაცამეტი წელი", „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" და „................" *(ლიტ.მცოდნეობის სახელმძღვანელო)*; **48**. „.......... ხეთაგუროვი ოსი მწერალია" *(დიახ, სენი წილიმე მწერალია და პოეტიც!)*

**ვერტიკალად**: **1**. „მოდი ჩემთან, სანამ დროა, სანამ გული ........" *(ბონდოს სიმღერა)*; **2**. „........... ვტიროდი, სადა ხარ, ჩემო სულიკო?" *(აკაკი)*; **3**. „უკანასკნელი ........... ემშვიდობება თბილისს" *(ბუბა კიკაბიძე)*; **4**. „შვილო, ზურაბ, ...........?" *(დანიელ ჭონქაძე)*; **5**. „ყვავილების ........... ჩოქვით შემოვიარე" *(ქალაქური ჰანგები)*; **6**. „ვერხვის ფოთოლთა ........... ლაშქარი აშრიალდება უშორეს ზღაპრად" *(ტრიო „ჰარმონია")*; **7**. „ჰე, ღმერთო ....... შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა" *(შოთა)*; **8**. „ჩემი ქვეყნის .......... , დიდი გარჯით მოწეული" *(ლადო ასათიანი)*; **9**. „........ გული მაქვს, არ ვიცი, რომელს ვუმღერო მარადჟამს" *(ქალაქური ჰანგები)*; **10**. „თუ მილხინს, ვმღერი, თუ ......... მაინცა ვმღერი" *(ვია ყანჩელი, პეტრე გრუზინსკი)*; **11**. „სიცოცხლე ჰქრება, სისხლი .......... ზვიადაური კვდებოდა" *(ვაჟა)*; **19**. „მაგრამ ამჟამად ყველაფერი მავიწყდება და თვალწინ მიდგება მხოლოდ ერთი ........ წივილი" *(ვაჟა)*; **20**. „............ მზის და ვარდების ქალაქო" *(რ. ლაღიძე)*; **23**. „შენი გულის ....... მესმის, მთაწმინდაზე შენთან ერთად ვმაღლდები" *(ნანი ბრეგვაძე)*; **28**.-**29**. „ფუტკარი, როგორც ........ , ყვავილებისგან გვიმზადებს ........." (ოთარ რამიშვილი); **30**. „.............. და ვერა ვპოვე რა, მჯობნი ამ სწავლა-მცნებისა" *(დავით გურამიშვილი)*; **31**. „გულო, ეს რა უნაპირო და რა გამძლე გამოდექ, ჯოჯოხეთის .......... , პაწაწინა სამოთხევ" *(გიორგი ცაბაძე)*; **34**. „ერთმა ......... ქალმა ჩვენს ეზოზედ გადიარა, კოვნა ვთხოვე არ მაკოცა გული დამიდარდიანა" *(იმერული ჰანგები)*; **35**. „ო, ჩემო უბედურო, ო, ჩემო საწყალო, ო, ჩემო .........!" *(გულჩვილთა ლექსიკიდან)*; **36**. „სოფლის .......... რა უნდა, რა უნდა" *(„ტყის კვარტეტი")*; **37**. „მე შენ გელი, რა ხანია, შავთვალა ........." *(„ორერა")*; **39**. „ჩემი მეგობარი .........." *(მთავარ როლში გ.ხარაბაძე)*; **41**. „ ........ , ......... ვოტატაია და" *(აბესალომ ლორია"*; **42**. „ჯუნგლების დედოფალი ........" *(ბოლოდროინდელი ფილმი ტარზანიადის სერიალიდან)*



**P.S.** შესაძლოა ციტატებში რაიმე უზუსტობა გაიპარა, რისთვისაც გულწრფელად გიხდით ბოდიშს!

# სკანდინავიური კროსვორდი




## გასული ნომრის პასუხები

**(პირველი გვერდი)** *თარაზულად:* 4. ბანდერასი. 6. ბარდო. 8. ლუჩკო. 11. სპექტაკლი. 13. კერენსკი. 14. ევრიპიდე. 16. ასტურია. 18. ინტერვენტი. 20. ბრონშტეინი. 23. პერიმეტრი. 25. ლეგიტიმიზმი. 26. სემინარია. 32. პასტრიტი. 33. კაჩალინი. 35. გრინვიჩი. 37. კვარტალი. 43. დესერტი. 45. დამანა. 46. ეკლესია. 47. უგანდა. 48. მარყუჟი. 51. ილია. 54. ენგელსი. 55. რეგენერაცია. 56. დანტესი. 57. პინა. 63. ნობელიანტი. 64. ბრაზილია. 65. ჩიქოვანი. 66. მასტროიანი. 70. დამლა. 73. ველი. 74. ლოგარითმი. 77. სახე. 79. მხეცი. 80. ზომა. 81. შერპი. 82. ტარტუ. 83. ადიუ. 85. ეტნა. 86. რობაი. 87. პლახერი. 88. ოხერი. 89. რიტა. 90. ალვა. 93. რომბი. 96. ცოტნე. 97. პავა. 99. რაზმი. 100. თარი. 101. ლაიზევიცი. 102. როქი. 103. იონჯა. 106. საცეცხლური. 107. მამისონი. 109. ანტონიმი. 111. აბასთუმანი. 115. ყავა. 117. უნგრეთი. 118. ეკრანიზაცია. 119. მოცარტი. 120. იდეა. 127. ნიქოზია. 128. არაგვი. 129. პოლიცაი. 130. გროზხო. 131. იაგუნდი. 136. არბენინი. 137. სარდინია. 138. კარელინი. 139. სენატორი. 143. სტარუხინი. 145. ფილატელისტი. 148. პრიმადონა. 152. იმპიჩმენტი. 153. იმპერატორი. 154. სინათლე. 155. პოლიტიკა. 157. ცარგრადი. 158. ბრაგინსკი. 159. გეორგ. 160. ხრამი. 161. არისტარქე. *შვეულად:* 1. ანდერსენი. 2. დესტრუქცია. 3. პანკრიასი. 4. ბოსი. 5. ილიე. 7. როსინი. 9. ჩარჯოუ. 10. არარატი. 12. სისტემა. 15. ანრი. 17. ინგა. 19. იდეალი. 20. ბომონი. 21. ლექტორი. 22. დიქტორი. 24. მუტი. 27. ნივა. 28. კამსკი. 29. ოჩანი. 30. დინგი. 31. ალმური. 34. ნაკრები. 36. რეიგანი. 38. ადლი. 39. საველე. 40. მედეა. 41. ადანი. 42. ჩიტა. 44. იუნონა. 48. მუსუსი. 49. სერიალი. 50. პინოქიო. 52. ლაბადა. 53. აკლიმატიზაცია. 57. პროტესტანტული. 58. ნიანია. 59. ანდრო. 60. კაპიტალიზმი. 61. გამსახურდია. 62. ქისტი. 67. ქვირითი. 68. ტრანშეა. 69. პეტიცია. 71. აშარი. 72. გრემი. 75. გოლფი. 76. თერგი. 78. კრეტა. 79. მურეი. 80. ზმა. 84. უფა. 91. ლექსი. 92. არიცია. 94. კლასიკა. 95. სიდონია. 97. პარალე. 98. ვარია. 104. რუანდა. 105. ბარტყი. 108. ნეაპოლი. 110. ნიაგარა. 112. კეთრი. 113. ვილია. 114. სცენა. 115. ყანა. 116. ვაქირი (უკაცრავად შეცდომისა გამო, ვაქირი სიღნაღის რაიონის სოფელია). 121. დონორი. 122. აკია. 123. აზბესტი. 124. კვირა. 125. ურმია. 126. აგუტინი. 132. ანქუ. 133. ყირიმი. 134. ცენტრი. 135. კეფა. 140. ქიაჩელი. 141. გერმანისტი. 142. პიმალაი. 144. რომი. 146. აპლიკაცია. 147. ინგლისური. 149. დარი. 150. ინდიგო. 151. სპარტა. 156. აბგა. 157. ციხე.

**(სკანდინავიური კროსვორდი)** *თარაზულად:* ბასტურმა, თიბათვე, ლაჟვარდოვანი, ბერმუხა, ქანთარია, კალატოზი, ახო, ჯანჯალი, მკა, ახალქალაქი, რიზე, შავი, ბავშვები, შნო, კიბე, წლოვანი, თრიმლი, გლოვა, სარე, მახათი, აბანო, ალეპო, დარუბანდი, ბაროკამერა, ფრონტი, ილფი, სემირამიდა, სპექტრი, მარკა, სირია, ვაცი, აბუსერიძე, ალმური, ნესტი, იუნგა, როსაურა, ასადი, იუტა, პრიმა, იონიზაცია, რიმინი, ამპერმეტრი, ენტონი, კარპოვი, ავგაროზი, პრეისკურანტი, მილედი, ვიზუალური, ალა, პატეფონი, ვერა, მედეა, მჟავე, კუპე, სიფილისი, მარცხი, ქარტია, დირიჟორი, კომპასი, ონი, რობაი, მორწყვა, აბე, რივა, ზოსიმე, წესი, ნოკდაუნი, თარხანი, ბრიუსელი, პერუ, ნეიმეგენი, რაიონი, ლალიონი, გამა, განრიგი, მერიმე, ბაია, ირაო, ალფა, მეგრე, ონო, კაი, ტირიფი, რიდე, პრინცი, ფრანსი, პრაღა. *(შვეული პასუხების დადგენა აღარავითარ პრობლემას არ წარმოადგენს)*

**(სპორტული კროსვორდი)** *თარაზულად:* 1. დათუნაშვილი. 10. რესინგი. 12. ნოდია. 13. ივანოვი. 14. ივიკო. 15. მიატოვიჩი. 16. რაუნდი. 17. რაი. 18. ცვეიბა. 20. მრეტები. 22. გრივსი. 24. პია. 26. ანცი. 27. პაიჭაძე. 28. ჩილე. 29. ლური. 31. ატალანტა. 33. ბრაზილია. 34. იურანი. 36. ალი. 37. ლანსია. 38. ანო. 39. ამარილდო. 40. ოლიმპიკი. *შვეულად:* 1. დინამო. 2. თედიაშვილი. 3. ნეაპოლი. 4. შტიხი. 5. ივანიშევიჩი. 6. იპოდრომი. 7. ტრიბუნები. 8. ინსი. 9. სიმონიანი. 11. სპიდვეი. 17. რიონი. 19. არგენტინა. 21. ნაპრალი. 23. დარასელია. 24. პენალტი. 25. ალპინისტი. 26. არბიტრი. 30. მეტიუზი. 32. ბაიანო. 33. სენა. 35. აუტი.

**(ფიგურალური კროსვორდი)** *თარაზულად:* 10. ბათუმი. 11. რიონი. 12. ილუზია. 13. მარიფათი. 14. იკარუსი. 15. ჩაი. 16. რეკეტი. 17. ბაიაზეთი. 19. კარატისტი. 20. გზა. 26. დიდუბე. 28. რესტავრაცია. 29. ანდერძი. 31. ფორდი. 32. სოფია. 35. ფული. 36. ლალელი. 38. სლოკინი. 42. ცოცხი. 44. უყურადღებო. 46. სკაფანდრი. 47. ანტრეკოტი. *შვეულად:* 1. გადასახადი. 2. გურია. 3. მინარეთი. 4. არქიტექტორი. 5. პოლიცია. 6. სიხარბე. 7. ჯიხური. 8. კურიოზი. 9. ქისტეთი. 18. საბუთები. 21. ზორო. 22. ოსლო. 23. ნარდი. 24. უცხო. 25. ხარი. 27. ენძელა. 30. ნიუ-იორკი. 33. ალიყური. 34. ალგებრა. 37. ლორი. 39. კიოსკი. 40. ნაფოტი. 41. იდენი. 43. ხოფა. 45. ენა.

**(ლოგიკური ამოცანა)** 1. უხტარი – 40 ქულა (ჭაბუკიანი). 2. ვულკანი – 37 ქულა (ჭელიძე). 3. ყაზბეგი – 35 ქულა (ჭეიშვილი). 4. ნადირი – 33 ქულა (ჭყოიძე). 5. ამური – 30 (ჭიჭინაძე).

**(ორეტაპიანი ამოცანა)** 1. მარჯანიშვილი. 2. ავლაბარი. 3. ისანი. 4. ვარკეთილი. 5. დიდუბე. 6. პოლიტექნიკური (ეს უკანასკნელი „ზედმეტია" რადგან მეტროპოლიტენის მეორე ხაზზე მდებარეობს).



# თქვენს განკარგულებაშია 185 კითხვა!!!

**თარაზულად:** **1.** საქართველოს ყველაზე „ხელიკისფერი" ტაძარი. **7.** სხეულის უმცირესი ნაწილაკი. **12.** შოვინიზმთან და ნაციონალიზმთან ბრძოლის თეორია. **13.** გამარჯვების ქალღმერთი. **14.** XX საუკუნის რუსი მწერალი, ავტორი რომანისა „ვაზირ მუხტარის სიკვდილი". **15.** ძელოვანი ღრუს გაკვეთის ოპერაცია. **16.** რა აქვთ საერთო ძროხას, ღორს, ცხვარს და ცხენს? **17.** რა გაუყო ჯოყოლამ ზვიადაურს? („სტუმარ-მასპინძელი") **20.** რა არის ფართო მასებზე (ნებისმიერი საშუალებით) ზეგავლენა? **25.** საუკეთესო სათამაშო კოჭი. **27.** ირანის შაჰი, სეფიანთა დინასტიის უდიდესი წარმომადგენელი. **28.** მამალი კვიცი ან ცხენი. **29.** რა ტარდება მაისის თვეში კანში ყოველ წელიწადს? **32.** რა ერქვა მანონ ლესკოს სატრფოს, გვარად დე გრიეს? **33.** ენის ბგერითი ნაწილის შემსწავლელი ენათმეცნიერების დარგი. **34.** უგულებელყოფა, ოღონდ ლათინურად. **35.** ნარნარი ფრენა. **36.** ნამიბიაც, ყარაყუმიც და ატაკამაც. **39.** მუჰამედ ალის ქრისტიანული გვარი. **40.** რა მზადდება პომიდვრით, ბადრიჯნით და კარტოფილით? **44.** საბუნებისმეტყველო მეცნიერება. **46.** ფრანგი კინომსახიობი კაცი, ფილმიდან „აფრიკელი". **47.** ციმბირის დამპყრობი რუსი. **49.** ქალაქი-პორტი ხორვატიაში. **50.** ძველბერძნული მითოლოგიის ზღვის ნიმფა. **52.** შინაური ცხოველი. **54.** მღვდლის თანაშემწე. **55.** რა შეიძლება იყოს „სქელიც" და გახვრეტილიც? **56.** მოვარდნილი წყალი, ან უხვად დაღვრილი სისხლი. **58.** ჰოლივუდის (კულტურისტი) მსახიობი კაცი. **60.** ხელოსანთა ამქრის უფროსი (გაიხსენეთ ფილმი „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"). **62.** რა უმშვენებს გვერდს აქეთ-იქიდან ბაიყუშს? **63.** პირველი პირი. **64.** იტალიური საჭმელი. **65.** ხელოვნური რწყვა. **67.** ორთქლის ძრავის შემქმნელი ინგლისელი ფიზიკოსი. **69.** სახელმწიფო ევროპაში. **72.** გაუნათლებელი, გულუბრყვილო კაცი. **74.** ტროას აღმომჩენი გერმანელი არქეოლოგი. **77.** სსრკ-ს დაპყრობის ჰიტლერისეული გეგმის სახელი. **78.** ინგლისური გაზეთი. **80.** კეთილთვისებიანი სიმსივნე. **81.** ცხოველთა გადამდები დაავადება. **82.** კინოფილმის ლიტერატურული პირველწყარო. **83.** მუსიკალური მიმდინარეობა. **84.** სურნელოვანი მწვანილი. **86.** ცეცხლის ღვთაება ინდურ მითოლოგიაში. **87.** ბახტრიონის აჯანყების ერთ-ერთი გმირი. **92.** ბრძოლის წინახაზი. **94.** თვითმფრინავის დიდი სიჩქარით ვერტიკალურად ძირს დაშვება. **98.** გაბელიაც, დასაევიც და სუბისარეტაც. **99.** ვინ იყო აბო? **100.** რა არის აგიტაცია? **102.** აღმოსავლელ ქალთა „შენიღბვის" საშუალება. **103.** მათემატიკური მრუდი. **106.** ერთ-ერთი „საბაზრობო" გვარი თბილისში. **107.** ბეთჰოვენის ოპერა. **108.** იგივეა, რაც მოხალისე. **109.** ძველბერძენი მოქანდაკე. **113.** ფრანგული ავტომობილი. **114.** ყელის დაავადება. **115.** ავტორი რომანებისა: „დაკარგული სამოთხე" და „დაბრუნებული სამოთხე". **118.** შორეული აღმოსავლეთის მდინარე. **119.** ყველაზე ცნობილი – გაფრინდაშვილებს შორის. **122.** „ბუნების გვირგვინიც" და „ყველაზე საშიში ცხოველიც". **123.** ცილისწამების ლათინური ვარიანტი. **126.** სლავების კარ-მიდამო. **127.** იანვრის ძველქართული სახელი. **128.** ჩილეს დედაქალაქი. **132.** იგივეა, რაც ენათმეცნიერება **137.** მუსიკალური ინსტრუმენტი. **138.** სასიმინდე გურიაში. **139.** „რაზდანიც", „უემბლიც" და „ლუჟნიკებიც". **142.** მექანიკის ნაწილი. **143.** იგივეა, რაც ჭია. **144.** ცალ-ცალკე აღებული თითოეული ადამიანი. **145.** რუსეთის ერთ-ერთი ავტონომიური რესპუბლიკა. **147.** აღმოსავლური ჩასაბერი საკრავი. **148.** სახელმწიფო ვესტ-ინდოეთში (ტირეებს კროსვორდი არ სცნობს). **152.** (კიდევ ერთი) კეთილთვისებიანი სიმსივნე. **155.** ასაკთან ერთად მოსული „ავადმყოფობა". **158.** სასამართლოში შეტანილი განცხადება. **159.** პოლონეთის ქალაქი. **160.** კიპლინგის „ბიჭი". **161.** რაიმე ფაქტის დამადასტურებელი საბუთი. **163.** წყალში მცხოვრები რწყილი (უცხ. სიტყ. ლექს. გვ. 115). **164.** მილიონი, მილიარდი... შემდეგ? **166.** ოთხთავის ერთ-ერთი ავტორი. **167.** მთავარსარდალი ძვ. ქართულში. **169.** სასამართლოს გადაწყვეტილება. **170.** ფინელი მოქანდაკე (ენციკლოპედიების პირველსავე გვერდზე). **171.** საზოგადოების „ნაღები".

**შვეულად:** **1.** ავტორი ლილიპუტების შესახებ არსებული თავგადასავლებისა. **2.** ყოფ. სსრკ-ს „მოძმე" სუბიექტი. **3.** ერთ-ერთი არაბული სახელმწიფო. **4.** „ჩალიჩის" ქართული სინონიმი. **5.** ავტორი რომანისა რევოლუციონერი „კრაზანას" შესახებ. **6.** „მთვარეულის" არაქართული სინონიმი. **7.** სარწმუნოება, რომელსაც შუშანიკს მისი მეუღლე ძალად ახვევდა თავს. **8.** (მადამ თუ მის) მინელი. **9.** რა ჰქვია ცხენკაცას არაქართულად? **10.** რა უნდა გაიზარდოს „ალგეთს"? **11.** ძვირფასი ლითონი. **18.** პირადი საქმე – არაქართულად. **19.** (ქალბატონი) ლაიმას ცნობილი სიმღერა ფერწერული ღონისძიების შესახებ. **21.** სპარსეთს მოკლული ქართველთა რუსი სიძე. **22.** „ცოლისაგან ნაღალატები" აუტობუსი. **23.** რა ინატრა რიჩარდ III-ემ სიკვდილის წინ (ნახევარი სახელმწიფოს ფასად)? **24.** თუ ტურნირში თექვსმეტი გუნდი მონაწილეობს, რა ჰქვია XVI ადგილზე მყოფს? **25.** საბრძოლო-დამცავი საშუალება. **26.** მშვენიერი ჯინა... ოღონდ არა „სანტა-ბარბარული". **30.** ვინ იყო წარმოშობით კონსტანტინე არსაკიძე? **31.** ქალის რუსული სამოსი. **32.** ვაზის შეწამლვის საშუალება. **37.** აშშ-ს ეგზოტიკური შტატი. **38.** საკურორტო დაბა სოჭის მახლობლად. **41.** სახელმწიფო აფრიკაში. **42.** საქართველოს ერთ-ერთი ყოფილი თავდცვის მინისტრი. **43.** „კარლ ცეისის" მეკარე, რომელსაც დარასელიამ გადამწყვეტი გოლი ჭაუტანა დიუსელდორფში. **44.** „ხინკლისმოყვარულთა" დაბა თბილისის სიახლოვეს (ჩრდილოეთით). **45.** ისლამამდელი სახელმწიფო რელიგია ირანში. **48.** ჯოულ—ლენცი, ბოილ—მარიოტი, მენდელეევ—? **51.** ცენტრალურ ევროპაში მცხოვრებ ებრაელთა ენა. **52.** ელექტროსიგნალების ასახვა ეკრანზე. **53.** ჩვენთვის ცნობილი ყველაზე მზაკვარი კარდინალი. **57.** იგივეა, რაც რხევა, ოღონდ არაქართულად. **59.** პრეზიდენტად კურთხევის ცერემონიალი. **61.** ასოთა კონფიგურაციის სახესხვაობა – ზოგადად. **66.** ციური სხეული. **68.** მონეტების „მყლაპავი" ტელეფონ-ავტომატი. **69.** გასართობი დანადგარი. **70.** ჩოგნით თამაშის სახესხვაობა. **71.** საჯალათო „სცენა". **73.** იგივეა, რაც ბაბაჭუა (თურმე?!). **75.** ძლიერი ნარკოტიკული ნივთიერება. **76.** სახელის დარქმევა ანუ დასახელება – არაქართულად. **79.** სირია-ლიბანიდან მკვდარი ზღვისაკენ მიმავალი მდინარე. **85.** საჭადრაკო ქმედება. **88.** პოლონელი ფანტასტის, პან სტანისლავის გვარი. **89.** რა მოსდევს „მანჭვას"? **90.** სასანთლე ატრიბუტი. **91.** ცხვრის ნაზ და ძვირფასბეწვიანი ჯიში. **93.** როგორი პოეტი იყო, ვთქვათ, მაიაკოვსკი? **94.** გადაქცევაზე მყოფი კოშკის ქალაქი იტალიაში. **95.** სასტამბო ასოს სიმაღლის ზომა. **96.** სახსრებისა და კუნთების დაავადება. **97.** საფრანგეთის ისტორიული ოლქი. **101.** სახის წინხედი. **102.** სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში. **103.** (რუსულ „მოსახვევში" შეჩერებული) იტალიელი ტენორი. **104.** ქაღალდის გორგალი. **105.** აშშ-ს შტატი. **106.** დედაქალაქი ქვეყნისა, სადაც „ვერცხლის პრიზიორი წყალი" ჩქეფს. **110.** აზოტისა და წყალბადის ნაერთი. **111.** კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი პოემა. **112.** ერთგვარი სურნელოვან-პარფიუმერული წყალი. **116.** სკოლისდამამთავრებელთა საყვარელი თვე. **117.** რა შეიძლება იყოს „ცისფერი" რიგ ქართველ პოეტთათვის? **120.** ცნობილი („ორათეულიანი") პერსონაჟი მაინ რიდის რომანიდან. **121.** ქალაქი გერმანიაში (იხილეთ ენციკლოპედიების პირველსავე გვერდზე). **124.** თანამედროვე თურქმენეთის ლიდერი (და სიამაყე!) **125.** ხარებთან ბრძოლა. **129.** რუსი იმპერატრიცას მიერ წარმოგზავნილი მხედართმთავარი XVIII ს. ბოლოს ჩვენში. **130.** ერთ-ერთი საარჩევნო სიტყვა. **131.** ხახვის ბიჭუნა იტალიური ზღაპრიდან. **133.** ქალბატონი მევიოლინე-დირიჟორი ლიანა. **134.** პირველყოფილთა რწმენა ყველგან და ყველაფერში სულის მოძიების შესახებ. **135.** ორმოცდაათი ისტორიული ბიოგრაფიის ავტორი ძველბერძენი მწერალი. **136.** „ქართული წარმოშობის" იაპონელი თვითმკვლელი. **140.** არგენტინელთა ყველაზე დიდი წვლილი ქორეოგრაფიაში. **141.** სატანვარჯიშო იარაღი. **142.** თბილისის ერთ-ერთი განსასვენებელი. **146.** ბეთჰოვენის ცნობილი საფორტეპიანო სონატა. **149.** რა შეიძლება „უქნას" გულმა კაცს იმედის გაცრუებისას? **150.** მენდელეევის „შრომის" ოცდამეექვსე „ნაყოფი". **151.** მოსახევი წიგნი. **153.** რაიმე მაგარ ზედაპირზე ამოტვიფრული ნახატი. **154.** რა ჰყავს ყოველ დემოკრატიულ პრეზიდენტს? **155.** რა უნდა ახასიათებდეს მეომარს – აგიტაციურ ლაყბობებში? **156.** ნიუიორკის ცნობილი უბანი. **157.** განსაკუთრებით ძვირფასი და სამახსოვრო ნივთი. **162.** ზემოთ(მრავალჯერ)ხსენებული მენდელეევის სამოღვაწეო სფერო. **164.** იმპროვიზირებული საწყალოსნო ტრანსპორტი **165.** ედვარდ გრიგის სამშობლოს დედაქალაქი. **168.** „მარიას" სადიდებელი სიტყვა.

## გასული ნომრის პასუხები

**(მეოთხე გვერდი)** *თარაზულად:* 1. გლადიატორი. 7. გიბრალტარი. 13. ნაომი. 14. ყურე. 15. ლუხუმი. 16. ლაბორატორია. 17. ანგელოზი. 18. ნემო. 19. აინუნი. 21. ოკუჯავა. 22. ირკუტსკი. 23. ცვედანი. 25. რაინდი. 27. ლანსია. 29. სკლიაროსი. 30. შანდორი. 31. შუბლი. 33. ფალიანი. 37. მარმელადი. 38. ჩოხა. 39. მანჭკვალა. 40. ბინდი. 42. ფანტელი. 43. კალატოზიშვილი. 44. მესხეთი. 47. ნოვატორი. 48. წუნია. 50. ლალიონი. 52. სლალომი. 53. კირი. 54. შოლტი. 55. ხაზარი. 56. ხონი. 57. ურჩი. 59. ეთერი. 62. რექვიემი. 63. კიპლინგი. 65. ტორფი. 69. კვო. 70. დენთი. 72. განჯა. 73. რეპეტიცია. 74. ბელი. 75. ღალა. 77. ონორე. 78. მატერია. 80. ნაგიბინი. 81. ნიავი. 83. სიმონა. 84. ანარეკლი. 85. კვარტეტი. 86. ამირბარი. 87. კიკუ. 88. ფშავი. 89. სპიდომეტრი. 91. ბზიფი. 93. ნასა. 95. სიმბოლიზმი. 97. პირიმზე. 99. ლენტეხი. 100. ტუფი. 101. ცხვირი. 102. ელამი. 106. იაშვილი. 109. არსაკიძე. 110. სტალინგრადი. 113. ტირე. 115. ალუდა. 116. ივრეკი. 118. ფარნავაზი. 119. ბობი. 120. სურნელი. 121. ხინჯი. 122. იამახა.

*შვეულად:* 1. გოლეადორი. 2. ამხანაგი. 3. იემენი. 4. ორანგუტანი. 5. ინტენსივობა. 6. კოლონიალიზმი. 7. გილიოტინა. 8. ბაბლუანი. 9. ადრიანო. 10. ტეტრაციკლინი. 11. რარიტეტი. 12. ბრამსი. 14. ყანდაურა. 20. ირტიში. 24. ნისკარტი. 26. ნაბიჭვარი. 28. ამფითეატრი. 31. შხარა. 32. კარნავალი. 34. ნედლეული. 35. ფორტე. 36. ვაგზალი. 37. მარშალი. 40. ბიუროკრატი. 41. ნიკოლოზი. 42. ფინიში. 43. კოწახური. 45. ხალათი. 46. თემური. 49. ნაზუქი. 51. არაბიკა. 53. კიბერნეტიკა. 58. იარვეტი. 60. ნიუტონი. 61. ცივილიზაცია. 63. კორსანტია. 64. პეპელა. 66. იდიოტი. 67. ანტონოვი. 68. ლიტერატურა. 71. სამანიშვილი. 72. გამარჯვება. 76. ბიატლონი. 79. როიალიზმი. 82. ვუალი. 83. სისტემა. 85. კისისხევი. 87. კინეტიკა. 90. პლეხანოვი. 92. ზონდი. 94. საფუძველი. 96. ილიადა. 97. პოლი. 98. რემა. 102. ელეგია. 103. ირმისა. 104. ოსეფა. 105. ელენე. 107. შტაბი. 108. ირიბი. 111. რიზე. 112. ილფი. 114. ლენა. 117. ურო.

ი/ს „ფანტაზია"
რეგისტრაციის ნომერი 7/1-1811
(ისნის რაიონი)
ალექსანდრე და
ვახტანგ
ელერდაშვილები